ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №110

2014 წლის 5 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

სსიპ –ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის შრომის ანაზღაურების გაცემის თანდართული წესი (დანართი №1).
2. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს, აკადემიური პერსონალის მიერ თავის ვალდებულებათა სრულფასოვნად შესრულების მიზნით, აკადემიური დატვირთვით (სააუდიტორიო საათები), უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყონ ბსუ-ს აკადემიური პერსონალი.
3. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც ამავდროულად უკავიათ ბსუ-ს ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა, გაუნახევრდეთ აკადემიური დატვირთვა და მიეცეთ შესაბამისი ანაზღაურება (“ბ“ კატეგორია).
4. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც ამავდროულად არის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, დაუშვებელია გამწესდეს ბსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე.
5. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული შრომის ანაზაღაურების გაცემის წესი, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდეს 2014 წლის 15 სექტემბრიდან.
6. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.
7. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი №1.

სსიპ –ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების გაცემის წესი

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების გაცემის წესი განისაზღვრება კატეგორიების მიხედვით, რაც გულისხმობს შემდეგს:

1. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აკადემიური თანამდებობის პირის **(„ა“ კატეგორია)** შრომის ანაზღაურება, ვისაც შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (დასაშვებია არასაუნივერსიტეტო სასწავლო და სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა), ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას და ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო საათების ფარგლებში (9:00-დან 18:00 საათამდე) პროფესორისთვის 22-საათიანი, ასოცირებული პროფესორისთვის - 26-საათიანი, ასისტენტ-პროფესორისთვის - 30-საათიანი და ასისტენტისთვის - 32-საათიანი სამუშაო კვირა, მათ შორის საუდიტორიო და საკონსულტაციო საქმიანობა), განისაზღვროს ყოველთვიურად შემდეგი ოდენობით:

- პროფესორი - 2000 ლარი
  წლიური სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვა - 250 სთ;
- ასოცირებული პროფესორი - 1600 ლარი
  წლიური სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვა - 300 სთ;
- ასისტენტ-პროფესორი - 1300 ლარი
  წლიური სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვა - 320 სთ;
- ასისტენტი -1000 ლარი
  წლიური სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვა - 350 სთ;

„ა“ კატეგორიის შესაბამისი შრომის ანაზღაურების მიმღები პირისათვის დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში, არაუმეტეს 200 საუდიტორიო საათის ფარგლებში, საათობრივი ანაზღაურების წესით აკადემიური აქტივობის განხორციელება.

2. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აკადემიური თანამდებობის პირის **(„ბ“ კატეგორია)** შრომის ანაზღაურება, ვისაც შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს არა მხოლოდ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (სხვა დაწესებულებაში ეწევა აკადემიურ ან/და სხვა საქმიანობას) და ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო საათების ფარგლებში (9:00-დან 18:00 საათამდე) პროფესორისთვის 11-საათიანი, ასოცირებული პროფესორისთვის - 13-საათიანი, ასისტენტ-პროფესორისთვის - 15-საათიანი და ასისტენტისთვის - 16-საათიანი სამუშაო კვირა, მათ შორის საუდიტორიო და საკონსულტაციო საქმიანობა), განისაზღვროს ყოველთვიურად შემდეგი ოდენობით:

- პროფესორი - 1000 ლარი
  წლიური სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვა - 125 სთ;
- ასოცირებული პროფესორი - 800 ლარი
  წლიური სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვა - 150 სთ;

- ასისტენტ-პროფესორი - 650 ლარი
  წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა - 160 სთ;
- ასისტენტი -500 ლარი
  წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა - 175 სთ;

„ბ“ კატეგორიის შესაბამისი შრომის ანაზღაურების მიმღები პირისათვის დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში, არაუმეტეს 50 სააუდიტორიო საათის ფარგლებში, საათობრივი ანაზღაურების წესით აკადემიური აქტივობის განხორციელება.

3. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აკადემიური თანამდებობის პირის **(„გ“ კატეგორია)** შრომის ანაზღაურება, ვისაც შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს არა მხოლოდ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (სხვა დაწესებულებაში ეწევა აკადემიურ ან/და სხვა საქმიანობას) და ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო საათების ფარგლებში (9:00-დან 18:00 საათამდე) პროფესორისთვის 15-საათიანი, ასოცირებული პროფესორისთვის - 17-საათიანი, ასისტენტ-პროფესორისთვის - 20-საათიანი და ასისტენტისთვის - 21-საათიანი სამუშაო კვირა, მათ შორის სააუდიტორიო და საკონსულტაციო საქმიანობა), განისაზღვროს ყოველთვიურად შემდეგი ოდენობით:

- პროფესორი - 1600 ლარი
  წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა - 250 სთ;
- ასოცირებული პროფესორი - 1300 ლარი
  წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა - 300 სთ;
- ასისტენტ-პროფესორი - 1000 ლარი
  წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა - 320 სთ;
- ასისტენტი -800 ლარი
  წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა - 350 სთ;

„გ“ კატეგორიის შესაბამისი შრომის ანაზღაურების მიმღები პირისათვის დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში, არაუმეტეს 50 სააუდიტორიო საათის ფარგლებში, საათობრივი ანაზღაურების წესით აკადემიური აქტივობის განხორციელება.

4. წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა შეიძლება გაიზარდოს 50 საათის ფარგლებში „ა“ და „გ“ კატეგორიის, 25 საათის ფარგლებში - „ბ“ კატეგორიის იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც ატარებს მეცადინეობებს საბაკალავრო პროგრამებზე მცირერიცხოვან ჯგუფებში (სტუდენტთა რაოდენობა 10 და ნაკლები).

5. ბსუ რექტორი უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში, უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით გაზარდოს აკადემიური პირებისათვის წინამდებარე დადგენილებით საათობრივი ანაზღაურების წესით განსაზღვრული საათების რაოდენობა.